# MEMORANDUM OF UNDERSTANDING (MOU)

BETWEEN

ILIA STATE UNIVERSITY (ISU)

AND

BLUEFIELD STATE COLLEGE (BSC)

Ilia State University
3/5 Cholokashvili Avenue
0162, Tbilisi
Republic of Georgia

Bluefield State College
219 Rock Street
Bluefield, West Virginia 24701
United States of America

PREAMBLE

Following communications between Ilia State University (3/5 Cholokashvili Avenue, 0162 Tbilisi, Republic of Georgia) and Bluefield State College (219 Rock Street, Bluefield, West Virginia, United States of America), a formal Memorandum of Understanding is made between Ilia State University (hereinafter referred to as "ISU") and Bluefield State College (hereinafter "BSC"). ISU and BSC desire to establish certain cooperative programs beneficial to the respective educational institutions and to promote the development of joint studies, research and training activities, and other educational programs of mutual interest.

AGREEMENT

In contemplation of the relationship to be established and for consideration, parties agree as follows:

1. Subsequent discussions, agreements and understandings, whether verbal or in writing, are subsumed by this Agreement. Any changes require written agreement by both parties.

2. This Agreement is not considered to be a contract creating legal and financial obligations between ISU and BSC. This Agreement is designed to facilitate and develop genuine and mutually beneficial study programs, research relationships, and exchange programs.

3. It is agreed that ISU and BSC will work together to promote the following:

a. Student exchanges

b. Faculty and staff exchanges

c. Curriculum development

d. Exchanges of teaching materials and documents

e. Collaborative research in any field of interest common to both institutions

f. Creation and organization of conferences

g. Cultural exchanges and other activities to increase cultural links and mutual understanding between the United States of America and Georgia

h. Ease of transfer of students between the two institutions; and,

i. Any other activity mutually agreed to between the parties.

4. This Agreement is incorporated into and will provide the foundation and framework for the particular projects developed by academic and administrative units from the two institutions and embodied in subsequent agreements. As specific projects are developed, memoranda of agreements will be created and signed by both parties regarding the specific terms of those projects.

For implementing student exchanges separate agreement will be created and signed by both parties detailing exchange procedures and complying rules and regulations of both countries.

5. This Agreement, when executed by the parties, shall continue for a period of three (3) years ending three years from the date of signing by both parties. Upon written agreement by both parties, this

Agreement may be renewed for an additional period of time with notification at least six (6) months before expiration of the agreement. Either party may terminate the Agreement with six (6) months' written notice of intent to terminate.

6. Neither party is obligated to expend any resources in connection with this Agreement. To the extent that resources are expended in connection with this Agreement, each party is responsible for the resources necessary to perform its obligations under this Agreement. No implementation of any portion of this Agreement or commencement of any specific projects may be initiated prior to the written assurance of adequate budgetary resources. ISU and BSC may jointly or individually seek funding and other support from third parties to support activities under this Agreement.

7. This Agreement shall not be construed to create a relationship of partners, brokers, employees, servants, joint ventures or agents as between the parties. The parties to this Agreement are acting as independent participants. In the event that the parties decide to engage in activities which involve employment, separate agreements addressing those issues will be required.

8. The parties shall cooperate mutually to resolve any dispute or misunderstanding by collaboration and discussion.

9. Either party shall have the absolute right to terminate this Agreement with or without cause upon six (6) months' advance written notice to the other party.

10. This Agreement shall be considered in effect upon the signatures of all required representatives of each institution.

11. Contact persons shall be:

Prof. Nino Pataraia
Dean
Business School
Ilia State University
3/5 Cholokashvili Ave.
0162 Tbilisi
Republic of Georgia
nino.pataraia@iliauni.edu.ge

Sudhakar R. Jamkhandi, Ph. D.
Coordinator
International Initiatives
Bluefield State College
219 Rock Street
Bluefield, West Virginia 24701
United States of America
sjamkhandi@bluefieldstate.edu

IN WITNESS WHEREOF, the authorized representative(s) of ISU and BSC have executed two (2) copies of this Agreement in English and Georgian.

Prof. Giga Zedania
RECTOR
ILIA STATE UNIVERSITY

Signature
Date 14. 11. 2017

Marsha Krotseng, Ed. D.
PRESIDENT
BLUEFIELD STATE COLLEGE

Marsha V. Krotseng
Signature
Date October 16, 2017

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (ISU)

და

ბლუფილდის შტატის კოლეჯს (BSC)

შორის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5
0162 თბილისი
საქართველო

ბლუფილდის შტატის კოლეჯი
219 როკ სთრით
ბლუფილდი, დასავლეთ ვირჯინია 24701
ამერიკის შეერთებული შტატები

ურთიერთგაგების მემორანდუმი ISU-სა და BSC-ს შორის

**პრეამბულა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, საქართველო) და ბლუფილდის შტატის კოლეჯს (219 როკ სტრით, ბლუფილდი, დასავლეთი ვირჯინია, აშშ), შორის კომუნიკაციის შედეგად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (შემდგომში: ISU) და ბლუფილდის შტატის კოლეჯს შორის (შემდგომში: BSC) ფორმდება ოფიციალური ურთიერთგაგების მემორანდუმი. ISU-სა და BSC-ს სურთ დანერგონ კონკრეტული კოოპერაციული პროგრამები ორივე საგანმანათლებლო ინსტიტუციის მხარდასაჭერად და ხელი შეუწყონ ერთობლივ კვლევებს, ტრენინგებს და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს.

**ხელშეკრულება**

მხარეთა ურთიერთობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. მომდევნო განხილვები, შეთანხმებები, ვერბალური თუ წერილობითი ფორმით, შეჯამებულია მოცემულ ხელშეკრულებაში. ნებისმიერი ცვლილება ხდება ცალკე მოლაპარაკების საგანი მხარეთა შორის და ფორმდება წერილობით.

2. მოცემული ხელშეკრულებით, ISU-სა და BSC-ს არ ეკისრებათ სამართლებრივი და ფინანსური ვალდებულებები. წინამდებარე ხელშეკრულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და განავითაროს რეალური და ორმხრივად სასარგებლო სასწავლო პროგრამები, კვლევითი ურთიერთობები და გაცვლითი პროგრამები.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებით:

ა. სტუდენტთა გაცვლა;
ბ. აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლების გაცვლა;
გ. კურიკულუმის განვითარება;
დ. სასწავლო მასალებისა და დოკუმენტებისა გაცვლა;
ე. ორივე ინსტიტუტისთვის საინტერესო სფეროებში კოლაბორაციული კლვევის წარმოება;
ვ. კონფერენციების დაარსება და მათი ორგანიზება;
ზ. კულტურული გაცვლებისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობა საქართველოსა და აშშ-ს შორის კულტურული კავშირებისა და ურთიერთგაგების განვითარების მიზნით;
თ. ორ ინსტიტუტს შორის სტუდენტთა ტრანსფერის გაადვილება;
ი. ნებისმიერი სხვა აქტივობა, რაზედაც შეთანხმდებიან მხარეები.

4. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს და მომავალში განსაზღვრავს იმ პროექტების ფუნდამენტს და ფარგლებს, რომელიც შემუშავდება ორივე ინსტიტუტის აკადემიური და ადმინისტრაციული ერთეულების მიერ და შევა მომდევნო ხელშეკრულებებში. კონკრეტული პროექტების განვითარების შემთხვევაში, ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულების მემორანდუმები, რითაც განისაზღვრება პროექტების პირობები.

სტუდენტთა გაცვლისთვის გაფორმდება დამატებითი ხელშეკრულება გაცვლების პირობებისა და ორივე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების გათვალისწინებით.

5. მოცემული ხელშეკრულება მხარეთა ხელმოწერის შემდეგ, გაგრძელდება და ძალაშია 3 წლის ვადით. წინამდებარე ხელშეკრულების განახლება, მხარეთა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, შესაძლებელია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 6 თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. თითოეულ მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება 6 თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

6. არცერთი მხარე არაა ვალდებული გაიღოს თავისი რესურსები ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. თითოეული მხარე, შესაძლებლობების ფარგლებში, პასუხისმგებელია იმ აუცილებელ რესურსებზე, რაც

საჭიროა ხელშეკრულების შესასრულებლად. დაუშვებელია ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის შესრულება ან კონკრეტული პროექტის წამოწყება შესაბამისი ბიუჯეტის რესურსების შესახებ წერილობითი ნებართვის გარეშე. ISU და BSC უფლებამოსილნი არიან ერთობლივად ან ინდივიდუალურად მოიძიონ ფონდები და მხარდაჭერა მესამე მხრიდან, რათა ხელი შეუწყონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობებს.

7. წინამდებარე ხელშეკრულება არ აყალიბებს ურთიერთობას - მხარეთა კავშირს - პარტნიორებს, ბროკერებს, მომსახურე პერსონალს, მოსამსახურეებს, ერთობლივ საწარმოებსა და აგენტებს შორის. ხელშეკრულების მხარეები მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი მონაწილეები. თუ მხარე მოისურვებს ჩაერთოს რაიმე ღონისძიებაში, როგორც დაქირავებული, საჭიროა გაფორმდეს ცალკეული შეთანხმება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

8. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ რათა გადაწყვიტონ წარმოშობილი დავები ან გაუგებრობები კოლაბორაციისა და მოლაპარაკებების გზით.

9. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარესთან ექვსი (6) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

10. ხელშეკრულება ძალაში შედის თითოეული ინსტიტუტის წარმომადგენელთა ხელმოწერის საფუძველზე.

11. საკონტაქტო პირები:

პროფ. ნინო პატარაია
დეკანი
ბიზნესის ფაკულტეტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3/5 ჩოლოყაშვილის გამზ.
0162 თბილისი
საქართველო
nino.pataraia@iliauni.edu.ge

სუდჰაკარ რ. ჯამხანდი, Ph. D.
კოორდინატორი
საერთაშორისო ინიციატივები
ბლუფილდის შტატის კოლეჯი
219 როქ სთრით
ბლუფილდი, დასავლეთ ვირჯინია 24701
ამერიკის შეერთებული შტატები
sjamkhandi@bluefieldstate.edu

დასტურად, ISU-ისა და BSC-ის ავტორიზებული წარმომადგენლები აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ორ (2) ეგზემპლარად ინგლისურ და ქართულ ენებზე.

**რექტორი**
**პროფ. გიგა ზედანია**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ხელმოწერა

თარიღი 14.11.2017

**პრეზიდენტი**
**მარშა კროთსენგი, განათლების დოქტორი**
**ბლუფილდის შტატის კოლეჯი**

Marsha V. Krotseng
ხელმოწერა

თარიღი October 16, 2017